ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2281034

ნომერი: AR1351727

თარიღი : 29.10.2015

გაცემის თარიღი : 05.11.2015

გაცნობის თარიღი : 05.11.2015

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რაიონი გლდანი , სამრეწველო ზონაში ყოფილი "ტარზი"-ს ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ია ბართაია პ/ნ 01024032188
- თბილისი ად.მიცკევიჩის ქ. N 1 ბ. 79

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექურის სამსახურის 07/08/2015 წლის # 2056445 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 29/10/2015 წლის AR1351727 განცხადებით მომართა ია ბართაიამ და მოითხოვა ქ. თბილისის

მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07/08/2015 წლის # 2056445 ბრძანებაში ცვლილების შეტანა დამკვეთის შეცვლასთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07/08/2015 წლის #2056445 ბრძანებით, ქ. თბილისში, სამრეწველო ზონაში, ყოფილი "ტარზის" ტერიტორია, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი№72.13.33.769) შეთანხმდა სასაწყობე შენობის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 07 აგვისტოდან 2016 წლის 07 აგვისტოს ჩათვლით. დამკვეთად დაფიქსირდა შპს "ბიტფური ჰოლდინგ ბი.ვი".

საჯარო რეესტრის ამონაწერის (განცხადების რეგისტრაცია: N 882015569231, მომზადების თარიღი: 09/10/2015) თანახმად, დღეისათვის, მიწის ნაკვეთის, მდებარე: ქალაქი სამრეწველო ზონაში, ყოფილი "ტარზის" ტერიტორია (საკადასტრო კოდი: 72.13.33.769), მესაკუთრეს წარმოადგენს შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკ".

AR1351727 განცხადებით წარმოდგენილი მინდობილობის (რეგისტრაციის #151213445; თარიღი: 2015 წლის 4 ნოემბრის) საფუძველზე ირკვევა, რომ ია ბართაია უფლებამოსილია წარმოადგინოს შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკ"–ი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში და იმოქმედოს შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკ"–ის სახელით სამსახურის 07/08/2015 წლის # 2056445 ბრძანებაში ცვლილების შეტანასთან დაკავშირებით.

ასევე წარმოდგენილია, 2015 წლის 3 ნოემბრის მინდობილობა, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ ია ბართაია უფლებამოსილია „ბითფური ჰოლდინგ ბი ვი" წარმოადგინოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურთან ურთიერთობაში ქ. თბილისში, გლდანის რაიონში, სამრეწველო ზონაში, ყოფილი „ტარზი"–ს ტერიტორიაზე, არქიტექტურული პროექტის დამკვეთის ცვლილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, მინდობილი პირი უფლებამოსილია მიუთითოს შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკ" პროექტის დამკვეთად „ბითფური ჰოლდინგ ბი ვი"–ს ნაცვლად.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 20-ე მუხლის თანახმად, დამკვეთს პირველ და მეორე სტადიაზე წარმოადგენს განმცხადებელი, ხოლო მესამე სტადიაზე დამკვეთი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობების მესაკუთრე, მოსარგებლე, ან მისი/მათი უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლოდ განვითარების ინტერესი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სამსახურმა მიზანშეწონლილად ჩათვალა შეიტანოს ცვლილება 07/08/2015 წლის #2056445 ბრძანებაში და დამკვეთად „ბითფური ჰოლდინგ ბი ვი"-ს ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკ"–ი

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07/08/2015 წლის #2056445 ბრძანებაში. კერძოდ: დამკვეთად "ბითფური ჰოლდინგ ბი ვი"-ს ნაცვლად დაფიქსირდეს შპს "ჯორჯია თექნოლოჯი პარკ"–ი (საიდ. კოდი: 405101367).
2. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 07/08/2015 წლის #2056445 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ.თბილისის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.